საქართველო

წელიწადი მეხუთე

შაბათი, 1 გიორგობისთვე 1919 წ. № 237

ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73.

მიხეილის

პლეხანოვის ქუჩა, 91 სახ. უნივერსიტ. გვერდით

შაბათიდან, 1 გიორგობისთვიდან დაიდგმება

კავკასიაში ჯერ არ-დადგმული

— რ ი ს თ ვ ი ს ? —

(ავიატორის ჯოჯოხეთური შურისძიება).

მოსკოვის სამხატვრო თეატრის არტისტების ვ. №, ხმაროს, ი. ზმიევოისა და ვ. სპრიაგინის მონაწილეობით.

ქ. ქუთაისში კვირას 2 გიორგობისთვეს დილის 10 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ მე 4 კურსის სტუდენტ

ანტონა ხაზარაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდათუთქულნი მშობლები: გულჩინა გაიოზის ასული და ილარიონ ანტონის ძე ხაზარაძე შვილებითურთ.

(2641—2—2)

კვირას, 2 გიორგობისთვეს დილის 11 საათზე მეორმოცე დღეს

მატრონა დანიელის ასული ცინცაძისას

მიცვალებისა ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში, ქ. თფილისში, გადახდილი იქნება წირვა და შემდეგ იქვე, ტაძრის გალავანში, მიცვალებულის საფლავზე, პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები მიცვალებულის

(2639—2—1

ღრმად დამწუხრებულნი ელისაბედ ოქროპირის ასული და შვილები: ტიციანი, სიმონ, სოფია, იოსებ და ქეთევანი აუწყებენ ნათესავებს ნაცნობებს და მეგობრებს რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მღვდელი

იუსტინე სტეფანეს ძე ტაბიძე

დაკრძალვა მოხდება კვირას 2 ნოემბერს საგვარეულო საყდარში.

228—2—1

კვირას, 2 ნოემბერს დიღუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

ლევან გიორგის ძის წერეთლის

გარდაცვალების წლის თავზე და

ეკატერინე კონსტანტინეს ასულის ნიკოლაძის

გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ოლღა ალექსანდრეს ასული და ნიკოლოზ იაკობისძე ნიკოლაძენი, შვილებით—რუსუდან, გიორგი და თამარით. წირვა დაიწყება დილის ათ საათზე ხოლო პანაშვიდი მეთორმეტის ნახევარზე.

2645—1—1

ელენა მიხეილის ასული და ზაქარია (შაქრო) შალიბაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს რომ 26 ღვინობისთვეს დღეთ კვირას გადახდილ იქნება მათი ძვირფასის, პირველის მშობლების, ხოლო მეორის სიმამრის და სიდედრის

მიხეილ გიორგის ძის და ბარბარე გიორგი ფავლენიშვილის ასულის კურცხალიევის

ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ს. არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

1—ფ—1

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ევგენი ზაქარიას ასული ანტონ მიხეილისძე შვილებითურთ დოლაბერიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა რომ კვირას გიორგობისთვის ორში ავლაბარში პეტრე პავლეს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი იქვე სასაფლაოზედ დაუვიწყარი შვილის 6 გიმნაზიის მოწაფე

ქეთუშა ქეთოს

სულის მოსახსენებლად

2637—1—1

ღრმად დამწუხრებული შვილები ირაკლი, ელენე, გიორგი და შალვა მგელაძეები და ოლინკა კობალაძე ამით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ რომ გადახდილ იქნება პანაშვიდი მათი ძვირფასი

ლავრენტი ლევანის-ძის მგელაძის

სულის მოსახსენებლათ შაბათს, 1 გიორგობისთვეს დილის 10 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

2646—1—1

✻ სახელმწიფო თეატრი ✻

ოპერა ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს, 1 ღვინობისთვეს, სარაჯიშვილისა და ინაშვილის მონაწილეობით

აბესალომ და ეთერი

ქართული კლუბი

კვირას, 2 გიორგობისთვეს 1919 წელს

ქართულ დრამატიულ დასის მიერ

ქ. ქ. ტასო აბაშიძის, ნ. დავითაშვილის, ბ. ბ. ვ. გუნიასი, ვ. გამყრელიძის, დ. ჩარკვიანის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა დ. ერისთავისა

სამშობლო

ადგილების ფასი 3 მან. 15 მანეთამდე.

ორშაბათს, 3 გიორგობისთვეს—სინემატოგრაფი; სამშაბათს, 4 გიორგობისთვეს—ქართული წარმოდგენა; ოთხშაბათს, 5 გიორგობისთვეს რუსული დრამა „ტარტო“. დაწვრილებით შემდეგ.

227 2—1

სახელმწიფო თეატრი

კვირა, 9 გიორგობისთვე.

ვასილ ბარნოვის

იუბილე

(1—ფ.)

ცენტრალური სასურსათო საბჭო ჰყიდის

ბოსტნის და ბაზიაზანს.

ფასების გაგება შეიძლება საქმეთა მმართველთან, საბჭოს ბინაზე (მადათოვის ქუჩა, № 3), დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათამდე.

3—3

ქართული აქციონერული საზოგადოება

„ოქროს ვერძი“-ს გამგეობა

ამით აცხადებს, წესდების § 9 ძალით, მის მიერ 1918 წლის, 7 ივნისის თარიღით ბესარიონ (კოწია) დათეშიძეზე გაცემული დროებითი კვიტანცია № 44 (წიგნი № 2) ვადაში კ ი ტანციის პატრონზე დარჩენილი ფულების შემოუტანებლობის გამო გაუქმებულად ითვლება კანონიერი შედეგებით.

2644 1 4

საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ ელექტრონის სადგურთან საზოგადოების საკუთარ საყინულეში (კიროჩნი ქუჩა, № 7) მზადდება

ყ ი ნ უ ლ ი

გასასყიდათ.

დაწვრილებით ცნობისთვის მიმართეთ საზოგადოების გამგეობის საქმის მწარმოებელს.

გ ა მ გ ე ო ბ ა

226 1—1

ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს, რომ კლუბის წევრთა საგანგებო კრებამ 5 ღვინობისთვეს

დანიშნა საშვალო და უმაღლეს სასწავლებლებში **სტიპენდიები**

კლუბის წევრთა შვილებისათვის.

განცხადებები სტიპენდიების მიღების შესახებ სათანადო მოწმობებით მიიღება კლუბის კანტორაში 7 გიორგობისთვეს.

227 2—1

ქალაქის განაპირა უბნების მოქალაქენო,

მოიყარეთ თავი!

ქართული ლატარიის საგანგებო კომისია მუსიკოსთა და დეკლამატორთა მონაწილეობით ქალაქის განაპირა უბნების თვალსაჩინო ადგილებში პარასკევს, 31-ს და შაბათს, 1 გიორგობისთვეს მოაწყობს ლატარიის ბილეთების საჯარო გაყიდვას, რათა ყველას საშუალება მისცეს ბილეთების შეძენისა.

ლატარიის ბილეთი ღირს 25 მ., კუპონი—5 მ.

პირველი მოგება—100,000 მ; მეორე—50,000 მ.

ლატარიის გათამაშება მოხდება კვირას, 2 გიორგ., სახელმწიფო თეატრში.

224 2—1

ცნობილი ავტორი

ხირომან-ასტროლოგი

იძლევა გაკვეთილების სეანსებს ოკულტიურ (უხილავ) მეცნიერების ყველა დარგიდან.

წინასწარმეტყველობას, წარსულს, აწმყოს, მომავალს. ადგენს ყოველნაირ პანტაკლებს პაკაცელიუსის, პაპიუსის და ქრისტიანის მიხედვით, არჩევს ბედნიერ დღეებს, თვეებს, საათებს,—აძლევს რჩევას, სად იცხოვრო, რით იმაცადინო და რა მოიმოქმედო. აძლევს დაბადების ბედის წერას, ტემპერატურას, ნიჭს და ჩვეულებას სხვაგან მყოფ ადამიანებისას. დახასიათება ჰღირს 25 მან. მომავალი 50 მ. სრული სეანსი 100 მან.

მისამართი: მიხაილოვის პროსპ., სახ. № 140. მიიღება 9—3 ს. და 4—7 ს. საღამოს. იძლევა გაკვეთილებს.

225 1—1

სასადილო „ტაშირი“ სასადილო

(შესხმა—ხოტბა)

„ეკონომია“—სასადილოსა
დღეს დაიფუძნა ძველი ტაშირი
ამერ იმერთა ევროპის სუფრამ
აქ ერთმანეთში შეჰკრა კავშირი.

ტაშის, ზეიმის სასადილოა
ახლად გახსნილი ჩვენი „ტაშირი“
წრის და წოდების ყველა ბელა თა
აქ იმართება ღრეობა ხშირი.

პუშკინისეულ ბაღის პირდაპირ
ღამით და დღისით ბრწყინავს „ტაშირი“
და რა ნება აქვს ყველა ქართველსა
ამ ძველ „ტაშირში“ „დასწვას ნახშირი“.

როგორც მუდმი ი მოყ იარულე
გირჩევთ დაჰედოთ ძველებურ „ტაშირს“
და გეფიცებით ვიავს დაანებებთ
სხვა რესტორანთან ყოფნას და კავშირს.

212—4—4

სტუმარი

---

1 ხარისხ. კაფე-პარიზი 1 ხარისხ.

დამფუძნ. კრების ქ. (ყოფ. სასახლის ქ.) ქართულ კლუბის ქვეშ.

ყოველ დღე: **საუზმე, სადილები, ვახშმები.**

სურსათი უაღრეს ღირსებისაა. კეთება მხოლოდ კარაქზე.

სადილები: პურით 2 თავი 15 მან.
„ „ 3 „ 20 „

ყოველ დღე მზადდება აზიზი საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული. საგანგებოდ გამოწვეულია იმერეთიდან ცნობილი მზარეული. მოწყობილია ცალკე კაბინეტები წვეულებისათვის.

პროცენტები მსახურთა სასარგებლოდ არა ხდებათ სტუმრებს.

რესტორანი ღამის 2 საათამდეა ღია.

პატივისცემით ვარ. გვათუა.

უკანასკნელი ცნობები

უკრაინაში დენიკინის წინააღმდეგ აჯანყება იზრდება.

ბოლშევიკური ცნობებით პეტლიურას არმია იშლება.

გერმანელები რიგაზე შეტევას განაგრძობენ.

ზემო ელზასში გერმანოფილური დემონსტრაციები მოხდა. ქ. მიულჰაუზენი და კოლმარი ელზასთვის ავტონომიას მოითხოვს.

ამერიკის სენატორმა ჰოიდესტეტმა პრეზიდენტად თავისი კანდიდატურა წამოაყენა რესპუბლიკანურ პარტიისაგან.

ურაგვაის მთავრობამ საზავო ხელშეკრულება დაადასტურა.

გერმანიის მთავრობამ კიდევ მიჰმართა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს ტყვეების დაბრუნება დააჩქარონ.

რად ვიგვიანებთ?

უახლოვდება დასასრულს რუსეთის ბოლშევიზმი. მის მემკვიდრედ რუსეთის ძალთა დღევანდელ განწყობილებას გამოჰყავს დენიკინ-კოლჩაკი. ადვილი წარმოსადგენია, ამ ცვლილებამ ვერ მოიტანოს რუსეთის საბოლოო დამშვიდება და კიდევ დიდხანს იქროლოს ანარქიის ქარიშხალმა რუსეთის თვალ უწვდენ სივრცეზე. არის ყოველგვარი შესაძლოება რომ ყოველი კუთხე, ყოველი გუბერნია მღელვარებისა და არეულობის კერად დარჩეს კიდევ მრავალი თვე, შეიძლება წლებიც. ერთი მთავარი საბუთი ამ მოსაზრების სასარგებლოთ ის გარემოებაა, რომ დენიკინ-კოლჩაკს, არ აქვს ნდობა და სიმპატია ფართო დემოკრატიული მასსის და არც რუსეთის ლიბერალური საზოგადოების. მართალია, გამარჯვებულს, უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგაც, შეუძლიან თავის ბატონობის „განმტკიცება“ იარაღითა და ძალმომრეობით, მაგრამ ეს „განმტკიცება“ მეტად ხანმოკლე დარჩება. ვიდრე ბოლშევიზმს ებრძვიან, დენიკინ-კოლჩაკს გზაზედ დიდი საზოგადოებრივი წინააღმდეგობა არ შეხვდება, იმ ზომამდე მტრულად არის განწყობილი საზოგადოების ყველა წრე ბოლშევიზმის მიმართ. მაგრამ როდესაც ეს უკანასკნელი ასპარეზიდან გავა და მის ადგილს თვით დენიკინ-კოლჩაკი დაიჭერს,—ხალხი, რომელიც დაქირავებულ შეიარაღებულ ძალას და მოკავშირეთა დახმარებას მიჰყავს გამარჯვებისკენ და რომელსაც გარდა მეფის გენერლების ხარისხისა, არავითარი სხვა საზოგადოებრივი დამსახურება წარსულში არა ჰქონიათ და დღესაც უნდობლობის მეტს ვერაფერს იწვევს სახელმწიფოს დემოკრატიულად დაწყობის მისწრაფებებით ამოძრავებულ რუსეთის საზოგადოებაში, — ცხადია, რომ დენიკინ-კოლჩაკის საიერიშო საგანი გახდება დემოკრატიული ნაწილისა და რუსეთში ახალი სამოქალაქო ბრძოლის პერიოდი დაიწყება.

ყოველ შემთხვევაში, ყველასათვის ცხადია, რომ ბოლშევიკების დამარცხებით ჩაქრობილი იქნება შესაძლოება პოლიტიკური უკიდურესობის ბატონობისა, და სოციალურ რევოლუციონარიზმის ხელახალი ამოვარდნის. შემდგომი სამოქალაქო ომი ბურჟუაზიული დემოკრატიზმის წონასწორობის გამომძებნელი და დამამყარებელი ღონისძიებად-ღა იქნება. და ანტანტიც, რომელმაც შეაჩერა რუსეთისა და მასთან დაკავშირებულ სხვა მოსახლე და გამოყოფილ ერების საკითხის გადაჭრა, ვინაიდან ბოლშევიკურ მთავრობას იგი არ სცნობდა რუსეთის სახელმწიფოს მთავრობად და ამ ნიადაგზე ებრძოდა კიდევაც მას, ეხლა ბოლშევიკების დამარცხების უმალ, შესაძლებლად დაინახავს ომისა და რევოლუციის საშიში შედეგების საბოლოო ლიკვიდაციის სწრაფ მოსახდენად, დროს დაუკარგავად შეუდგება ამ საკითხის გადაჭრას. საქართველოს ბედიც მაშინ გადაწყდება.

დიდი ხანია, 1918-ის ზაფხულის მიწურულიდან, გამორკვეულიყო ყოველი ფხიზელი ადამიანისთვის, რომ ევროპისა და რუსეთის ახალ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემების უდავო გადამჭრელი ანტანტი იყო და რომ კერძოდ საქართველოს მომავალი არსებობის ფორმაც მას უნდა დაეწესებია, ჩვენი საგარეო პოლიტიკა და საშინაო პოლიტიკის ხასიათი და ტემპიც ამ გარემოებასთან უნდა ყოფილიყო შეწყობილი. ჩვენი მხრით ამას ყოველთვის მკაფიოდ და კატეგორიულად მოვითხოვდით. არ იქმნა, გულმართლად და ლოიალურად ამ გზას ვერ დაადგნენ ჩვენი ხელმძღვანელი წრეები. თავის სატრფოს უცდიდენ. დღეს მდგომარეობა კიდევ უფრო ნათელია. მსოფლიო რევოლუციის ალი და რევოლიუციური ინტერნაციონალის იმედი, რევოლუციის მანიაკებსაც არ უნდა ჰქონდეთ. მაშ, საყოყმანო არაფერია. არჩევანი არაა. ასეთ მდგომარეობაში საჭიროა ენერგიული მუშაობა იმ წრეში, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი საკითხის გადაჭრა. მუშაობას უნდა ჰქონდეს კონკრეტიული წინადადების და ფორმულის ხასიათი. მთავრობა ამ სფეროში აქტიურ ნაბიჯების გადადგმას ეხლაც აგვიანებს. ნეტავი რას უცდის?

მონოპოლია და სახალხო მეურნეობის ინტერესები

სახალხო მეურნეობის ინტერესები მოითხოვდა, რომ ზოგიერთს საგნებზე არა თუ ეხლა, არამედ გაცილებით ადრე გამოგვეცხადებინა მონოპოლია. მთავარი სამონოპოლიო საქონელი, რასაკვირველია, იქნებოდა შავი ქვა და მარგანეცი. ამ საგნებზე მონოპოლიის გამოცხადების საკითხი პირველად თვით დაინტერესებულმა წრეებმა აღძრეს. შავი-ქვის აქციონერულ საზოგადოებამ და სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ამის შესახებ მთავრობას თავისი პროექტებიც წარუდგინეს.

ბოლოს გამოცხადდა მონოპოლია, თითქოს იწყება კიდეც მისი განხორციელებისათვის პრაქტიკული მუშაობა. ჯერ საქმე არც კი დაწყებულა, მაგრამ უკვე ირკვევა, რომ მთავრობა ამ საქმეს შესაძლოა ისეთს მიმართულებას მისცემს, რომ ეს მონოპოლიები სარგებლობის ნაცვლად საზიანო გახდებიან ჩვენი ქვეყნისათვის.

რა იყო მთავარი მიზეზი, რომ ამ საგნებზე ჩვენ უთუოდ მონოპოლია უნდა გამოგვეცხადებინა? მთავარი მიზეზი იყო, თუ უნდა ყოფილიყო, ის გარემოება, რომ თამბაქოს და მარგანეცს ჩვენი ქვეყანა თითქმის მუქთად ჰკარგავდა იმის გამო, რომ ეს საქონელი ჩვენი ქვეყნიდან სრულიად უსისტემოდ იზიდებოდა. ამ რამოდენიმე თვის წინად სოხუმის თამბაქოს ჩვენ ვაძლევდით უცხოელებს უფრო ნაკლებ ფასად, ვინემ პური ფასობდა ჩვენში. ეს მაშინ, როდესაც იქაური თამბაქო ნორმალურს პირობებში, ფუთი ყოველთვის ღირდა იმდენი, რამდენიც 15—25 ფუთი პური. მთელს მსოფლიოში თამბაქოს სიმშილობაა და მისი ფასები უცხო ქვეყნებში დაცემული კი არ არის, არამედ ფრიად მომატებული. მაგრამ ჩვენ ჯან თითქმის მუქთად მიჰქონდათ ეს საქონელი იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ვახერხებდით მის უცხო ბაზარზე გატანას. გაიხსნა გზები და ამ საქონლის გაზიდვაც დაიწყო.

მთავარი საზრუნავი უნდა გამხდარიყო ჩვენი მთავრობისათვის, რომ ეს საქონელი ჩვენ არ გაგვეცა აქაურს დაცემულს ფასებში, არამედ მოგვეხერხებინა მისი გაზიდვა და უცხოეთში გასაღება მაღალს ფასებში. ამიტომ საჭირო იყო ექსპორტის მონოპოლიის გამოცხადება. მთავრობა უნდა შეთანხმებოდა თამბაქოს მეპატრონეებს. უნდა შექმნილიყო ერთი ორგანიზაცია მთავრობის წარმომადგენელთა და მეთამბაქოებთაგან და მით უნდა გაეყიდნათ ეს საქონელი უცხოეთში. მთავრობას ამისთვის არც კი დასჭირდებოდა დიდი თანხები. საქონლის ფასს მეპატრონენი რეალიზაციის შემდეგ მიიღებდენ.

როგორი შედეგი იქნებოდა ასეთს მონოპოლიას ხაზინისათვის და თამბაქოს წარმოებისათვის?

თამბაქოს უცხოეთში გაზიდვა მთავრობის ნებადაურთველად დღემდისაც არ შეიძლებოდა. თამბაქოს პატრონი ადგილობრივ თუ გაჰყიდდა თამბაქოს მეტად დაბალს ფასებში. ფასებმა უკანასკნელ თვეებში საგრძნობლად აიწია, მაგრამ ის დღესაც გირვანქა სტერლინგზე ნაკლებია ფუთი. უცხოეთში კი, როგორც ცნობებია, მისი გასაღება შეიძლება 6—7 სტერლინგად. და უკეთუ მთავრობის შემწეობით მეთამბაქოე თავის საქონელს გაასაღებს ერთი სტერლინგის ნაცვლად 6—7 სტერლინგად, რასაკვირველია, ის სიამოვნებით დასთანხმდება, რომ ასეთს ოპერაციიდან ხაზინამ 1—2 სტერლინგი თავისთვის წაიღოს. ასეთი ოპერაციით ხაზინას, მაშასადამე, შეუძლია ჩვენი თამბაქოს მონოპოლიიდან ერთი მილიონ სტერლინგამდე მიიღოს, რაც ჩვენს ბონებზე 650—700 მილიონს ნიშნავს. ეს თანხა კი სახელმწიფოს მთელ წლის დეფიციტს დაფარავს. ამას გარდა ხაზინას შეუძლიან დანარჩენი 2 თუ 3 მილიონი სტერლინგიც, რომელიც მეთამბაქოებს ეკუთვნის, თითონვე აიღოს და მათ არსებული კურსით ჩვენი ბონები მისცეს. ამ დიდძალი უცხო ვალიუტით ჩვენ შეგვეძლიან შევქმნათ საკუთარი ფულის სისტემა და შემოვიტანოთ უცხოეთიდან ყოველივე ჩვენთვის საჭირო საქონელი. ასეთი შედეგი შეუძლიან მოგვცეს თამბაქოს მონოპოლიას. შავი ქვის მონოპოლია, რასაკვირველია, კიდევ მეტს სარგებლობას გვიქადის.

ეხლა როგორი შედეგები ექნებოდა ასეთს მონოპოლიას თვით თამბაქოსა და მარგანეცის წარმოებისათვის? მწარმოებელნი თავის საქონელს მაქსიმალურს ფასებში გაანაღდებენ და, რასაკვირველია, შეჩერებულ წარმოებას სწრაფად აამოძრავებენ. როგორც მარგანეცის ამოღება, ისე თამბაქოს მოყვანა უკანასკნელ წლებში მეტად შემცირებული იყო იმის გამო, რომ ამ საქონლის ბაზრები ჩვენთვის დახშული იყო. მაშასადამე ამ საგნების ხელსაყრელ ფასებში გასაღება დიდს სარგებლობას მისცემს ხაზინას და აგრეთვე აამოძრავებს წარმოებებს, ხელს შეუწყობს კიდევ ახალი და ახალი სიმდიდრის შექმნას.

სამწუხაროდ, როგორც გვესმის, მთავრობა ამ საქმეს სასურველ მიმართულებას არ აძლევს. უფრო იოლ გზებს არჩევს. მარგანეცის შესახებ, მოლაპარაკება არ დამთავრებულა, მაგრამ თამბაქოს შესახებ, როგორც გადმოგვცეს ასეთი დადგენილება მიუღიათ: მიეცემოს ყველას, ვინც მოისურვებს, თამბაქოს უცხოეთში გაზიდვის უფლება, ხოლო იმ პირობით, რომ თითეულს ფუთზე ხაზინის სასარგებლოდ ორი სტერლინგი შემოიტანოსო. თითქოს საქმე მარტივად და მარტივად წყდებოდა და შედეგებიც ისეთივეა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. თითეულს ფუთზე მთავრობა ორ სტერლინგს იღებს. დიახ, შედეგები იგივეა ხაზინისათვის, ხოლო სრულიად სხვაგვარია თამბაქოს წარმოებისა და საერთოდ სახალხო მეურნეობისათვის. ასეთს პირობებში ხაზინა აიღებს ორს სტერლინგს, ვინც გაიტანს შეიძლება მან ფუთზე აიღოს 6—7 და კიდევ მეტი სტერლინგი, ხოლო თამბაქოს მეპატრონემ, შეიძლება კიდევ ნაკლები მიიღოს ვინემ ის დღეს ღებულობს. ამ წესით საქონლის გატანას თითო ოროლა უდიდესი უცხოელი ფირმები თუ მოახერხებენ. მეთამბაქოენი, და წვრილი ექსპორტიორები, რომელთაც მოეპოვებათ საქონელი, ხოლო არ აქვთ უცხოეთის ვალიუტა, რომ ის ხაზინას მისცენ, ხელფეხ შეკრული იქნებიან. ამის შედეგი კი ერთი იქნება: მცირე სარგებლობას ამ მონოპოლიიდან ნახავს ხაზინა, უდიდესს კი უცხოელი მწარმოებელნი. და ყოველივე ეს კი მოხდება ჩვენი მეთამბაქოების ხარჯზე. მეთამბაქოე, როგორც ეხლა, ან კიდევ უფრო, იძულებული იქნება მუქთად გასცეს თავისი საქონელი. ეს გარემოება, რასაკვირველია, გამოიწვევს ამ წარმოების დიდათ შემცირებას. ხაზინის მცირე სარგებლობა ვერ გამოისყიდის იმ დიდს ზარალს, რომელსაც ნახავს ჩვენი სახალხო მეურნეობა, ამიტომ ყოვლად მიუღებელია მონოპოლიის ამ გზით განხორციელება.

ქართული სასცენო ხელოვნება

ჩვენი მონობის ხანაში თბილისში, ჩვენ სამშობლოს ცენტრში თითქმის ვაგინდარები ვიყავით, არავინ არაფრად გვაგდებდა, არავინ ანგარიშს გვიწევდა და თუ ვინმეს გავახსენდებოდით, მხოლოდ იმ განზრახვით რომ კიდევ უფრო ჩავეწიხლეთ და ჩავექოლეთ. თავისუფლების ამობრწყინებამ ეს ორძინების იმედიც გაგვიღვიძა. მოგვშორდა ჩვენი გამანადგურებელ მტერის ართახები. ვფიქრობდით, ეხლა მაინც თავისუფლად გავშლით ჩვენ შემოქმედებასო. ჯერ ჯერობით მაინც და მაინც სანუგეშოს არაფერს ვხედავთ. გასულ წელს სახელმწიფო თეატრში ორი ქართული ოპერა დაიდგა. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა არა მარტო ქართველებზე, არამედ უცხოელებზედაც. ასეთი ბრწყინვალე დასაწყისი გვაფრთოვანებდა და მომავლის სანუგეშო პერსპექტივებს გვიშლიდა წინ. აღფრთოვანებული საზოგადოება კიდევ სხვა ახალ ოპერების ასახელებდა. ვასულ სეზონშივე ველოდით ბალანჩივაძის „თამარ ცბიერის“ წარმოდგენას, სხვა ჩვენი კომპოზიტორებიც დიდ იმედებს იძლეოდენ. ამბობდენ რვაოდე ოპერა უკვე მზად არისო. როგორ მოვსტყუვდით! ჩვენ აღგზნებულ ოცნებას ფერფლი გადააყარეს. ვითომდა სახელმწიფო თეატრის ისედაც ბნელი კულისები კიდევ უფრო ჩაღრმავდა და „ხელოვნების დიკტატორი“ თავის პოზიციაზე დამკვიდრებული მუშტით ემუქრება ქართულ შემოქმედებას. როგორც სჩანს არამც თუ ახალი აღარაფერი გველირსება. გასული სეზონის ორი ნაწარმოებიდან, ერთი სახელდობ ჩინებული ოპერა მ. არაყიშვილისა „შოთა რუსთაველი“ სცენიდან გაქრა. მოსალოდნელია, მეორესაც იგივე ბედი ეღირსება. და ამგვარად ჩინებულად, დიდი გაბედულობით და თავდადებით დაწყებული საქმე დასაწყისშივე ქარმა წაიღო ჩვენ მტერთა და ორგულთა გასახარელად.

სამწუხაროდ სრულ უნუგეშობას განიცდის ჩვენი დრამატიული ხელოვნება. აქ ძნელია იმ დიადი როლის აღნიშვნა, რომელიც ითამაშა ჩვენმა სცენამ წარსულში. ეს იყო თითქმის ერთად-ერთი ადგილი, სადაც თუ არა პირდაპირ, მაინც ისმოდა პროტესტი მონობის წინააღმდეგ და თავისუფლებისათვის საბრძოლველად მუდამ ხალხს იწვევდნენ. დავანებოთ თავი პოლიტიკურ მხარეს. ბევრი ხალხის სცენა მინახავს და როცა ჩვენსას შევადარებდი, ჩემი ეროვნული თავმოყვარეობა სრულიად დაკმაყოფილებული იყო. ქართულ სცენას არამც თუ ჩვენისთანა გაუბედურებული ერი, ჩვენზე გაცილებით კარგ მდგომარეობაში მყოფთაც საამაყოთ მიიჩნევდა. დაიწვა ქართული თეატრი. დარჩა ქართული დრამატიული ხელოვნება.

პარალელურად მეორე საგულისხმიერო მოვლენა ვითარდება ჩვენში. რუსეთში მოქალაქობრივ ომის გამწვავებამ უთვალავი რუსი ინტელიგენტი დააშინა და სამშობლოდან გამოაქცია მყუდრო ადგილის ძებნაში. სად განებავთ იპოვოთ ასეთი თავშესაფარი თუ არ საქართველოში. მოდის და მოდის ჩვენსკენ უთვალავი უსაქმო ხალხი. თან ხდება საოცარი სწრაფი ტრანსფორმაცია. გუშინდელი აფიცერი დღეს ქიანურით ხელში ვითომდა ხელოვნებას ემსახურება, მეორე არტისტობს და დრამატურგობს, მესამე ფუტურისტობს და მიკიბულ-მოკიბულ „ფილოსოფიით“ რყევა შეაქვს სუსტთა შორის. გაივსო თბილისი ისეთი ელემენტებით, რომელნიც უსათუოდ უარყოფითი არიან ჩვენი პოლიტიკური არსებობისათვის და ელიან მოხდენილ მომენტს, რათა აშკარად ჩვენი არსებობის მტერთ მიეკედლონ.

მანამდის კი ჩუმ და ფრთხილ პროპაგანდას აწარმოებენ. ქალაქში საოცრად გამრავლდა გასართობი ადგილები—თეატრები, პრიტონები, ხშირად, „კლუბებად“ წოდებულები და სხვა. თვით რუსთა ბატონობის დროსაც იმდენი გასართობი რუსებს არ ჰქონია აქ, როგორც დღეს.

სახელმწიფო—თეატრში რუსული ოპერა ქართველთა დახმარებით, არტისტიულში რუსული დრამა და სხვა. ეხლა კიდევ გვესტუმრება ბ-ნი ევრეინოვი, რეჟისორი. ამბობენ, მის ამალაში ჩაირიცხულან ფუტურისტულ ფსიხიზით მოწამლული რამდენიმე ჩვენი ახალგაზრდა.—და შეიქნა ქალაქში სირბილი სტუმარ რეჟისორისთვის სათეატრო ბინის საძებნელად.

დროა გონს მოვიდეთ. დროა ჩვენს ხელოვნებას შესაფერი მფარველობა და მზრუნველობა გაუწიოთ. თუ სადმე სათეატრო ბინა მოიპოვება, ჯერ დავაბინაოთ ჩვენი დრამა, ჩვენი ხელოვნება. შემდეგ კი ვიფიქროთ ხელოვნურად გამრავლებულ რუსულ თეატრების კიდევ გამრავლებაზე.

პეტრე სურგულაძე

ქრონიკა

მთავრობის თავმჯდომარესთან გუშინ სადარბაზოდ იყო საბუნიონის წარმომადგენელი მისტერ სმიტი.

გარეშე საქმეთა მინისტრს ბ ნ გეგეჭკორს წარუდგნენ გუშინ საფრანგეთის, პოლონეთის და საბერძნეთის მისიათა უფროსნი.

სტუდენტების საყურადღებოდ. დღეს, შაბათს, 1 გიორგობისთვის სახ. უნივერ. სტუდენ. კავშირის გამგეობა აწყობს ლატარიის დღეს. იგი მოუწოდებს ამხანაგებს გამოცხადდნენ დილის 8 საათს სტუდენტთა სასადილოში, საიდანაც ისინი მუსიკით გაივლიან რუსთაველის პროსპექტს, შემდეგ დაიშლებიან და მოეფინებიან ბილეთების გასაყიდად მთელ ქალაქს. ვინც არ გამოცხადდება მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება სასტიკი ზომები. გამგეობა სთხოვს დაწესებულებათ, განათავისუფლონ მოხელე სტუდენტები. აგრეთვე მოუწოდებს საზოგადოებას ხელი შეუწყონ მათ ბილეთების შეძენით.

საგანგებო დელეგაციის გამგზავრება. ამ დღეებში მიემგზავრება რუსეთის საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო დელეგაცია, რომელშიაც შედიან გენ. ოდიშელიძე ე. ი. თუმანიშვილი და დ. თოფურიძე.

საქართველოს მევენახეთა მეღვინეთა კონგრესი, რომელიც გადადებული იყო 1 სექტემბრიდან, შესდგება ამა წლის 23 ნოემბერს ქალ. თბილისში.

აგრონომიულ ყრილობის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს ერობათა მთავარ კომიტეტს გამოგზავნოს ყრილობაზე თავისი რწმუნებული.

ღალის დათმობა. გორის სამაზრო ერობა შუამდგომლობს ერობათა მთავარ კომიტეტის წინაშე დაეთმოს მიწად მოქმედების სამინისტროს მიერ აღებულ ღალებიდან 10 ვაგონი ხორბალი გორის მაზრის მცხოვრებთა საჭიროებისათვის, რადგან წელს ნაკლები მოსავალი მოვიდაო.

სომხეთის კონსული სოხუმში. სომხეთის დიპლომატიურ მისიის მდივანი ვ საკიანი სომხეთის კონსულად სოხუმში დაინიშნა.

ყარაბახი. სომხეთის მთავრობამ სამხედრო მინისტრს, ყარაბახის საჭიროებისათვის, გაუხსნა კრედიტი 9.000.000 მ.

გემის წასვლა. საფრანგეთის სამხედრო მისიის ცნობით გემი „სერკასი“ წავა ბათუმიდან მარსელში კვირას, 2 გიორგობისთვეს.

ხორბლეულობის გაყიდვა. გორის სამაზრო ერობა სთხოვს ერობათა მთავარ კომიტეტს, მოახდინოს განკარგულება, რომ გორის მაზრიდან სხვა და სხვა მისიებმა მოსპონ ყიდვა გაზიდვა ხორბლეულისა, ვინაიდან თვით მცხოვრებთ ნაკლები მოსავალი მოუვიდა წელს და გაჭირვებულნი არიან.

თავდასხმა მატარებელზე. 31 ღვინობისთვეს, ღამის 1-ლ საათზე, ბოროტგანზრახველებმა ბათუმიდან თბილისში მომავალ სამგზავრო მატარებელი № 1, კსანკა-კავთის-ხევს შუა ჩააგდეს. გადავარდნილია მანქანა და ოთხი ვაგონი. დაშავდა ორთქლმავალი და ერთი ობერ კონდუქტორი. ბოროტგანზრახველები თავს დაესხნენ მატარებელს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ისინი მალე მოიგერიეს. დაწვრილებით ცნობები ჯერ არ მიგვიღია.

პედაგოგიური კურსები. თბილისში ბ-ნ კუტონის მეთაურობით გაიხსნა უმაღლესი პედაგოგიური კურსები.

გერმანელ სამხედრო ტყვეების წასვლა სამშაბათს 4 ნოემბერს თბილისიდან სამშობლოსაკენ გაემგზავრებიან აქ დარჩენილი გერმანელი სამხედრო ტყვეები. (200 კაცი) ფოთიდან ისინი წავლენ ჰოლანდიის გემით.

გერმანელთა ლაზარეთის ლიკვიდაცია თბილისში მყოფ გერმანელთა ლაზარეთი გაუქმდა.

ლატარიის გათამაშებაზედ. დამსწრე საზოგადოებისათვის ლატარიის ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში დღეიდან, 1 ნოემბრიდან.

ლავრენტი მგელაძე. თბილისში მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ყოფილი რეპორტიორი ლავრენტი მგელაძე, რომელიც დიდხანს მუშაობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

რკინის გზ. მსახურთა შვილები განათლების სამინისტრომ განკარგულება მოახდინა რათა რკინის გზის მოსამსახურეთა შვილები ახალ განკარგულებამდე არ იქმნენ დათხოვნილნი სწავლის ფულის შეუტანლობის გამო.

ტრანსპორტისა და ფოსტის მოსაგვარებლად ერობათა მთავარ კომიტეტს მოსდის სხვა და სხვა ერობებიდან თხოვნები რომ მათ ტრანსპორტისა და ფოსტის მოსაგვარებლად დაეთმოთ მთავრობიდან ჯორები, ცხენები და აგრეთვე ავტომობილები. ამის გამო ერობათა მთავარი კომიტეტი სათანადო შუამდგომლობით შედის მთავრობაში.

ექსკურსია. განათლების სამინისტრომ ნება დართო ქალთა პირველ გიმნაზიის დირექტორს მოაწყოს ექსკურსია ქ. მცხეთაში იქაურ სიძველეთა დასათვალიერებლად.

ყალბი ბეჭედი. განათლების სამინისტრომ გამოარკვია რომ ბევრი ყალბი მოწმობანია გაცემული შემდეგ წარწერიან ბეჭედ დასმულნი. „ოზურგეთის სავაჟო გიმნაზია“ ამის გამო სამინისტრომ ცირკულიარი დაუგზავნა ყველა უფროს არ მიიღონ ასეთი მოწმობანი, ვინაიდან ოზურგეთის ბეჭდის ნამდვილი ტექსტი ასეთია „ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზია“-ო.

ჯამაგირები მასწავლებელთ. განათლების სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე სათანადო კანონპროექტით რათა კუთვნილი დამატებანი მიეცეთ მათ არა მათ ძირითად ჯამაგირების მიღებით თანახმად დამფუძნებელ კრების 30 მაისის და 2 აგვისტოს დეკრეტისა, არამედ იმ ჯამაგირისა რომელსაც დღეს იგინი იღებენ.

კომისიის დაბრუნება მიწ. მოქმედების სამინისტროს კომისია, რომელშიაც შედიოდნენ აგრონომები კორინთელი, ტიმოფეევი და ვასილიევი დაბრუნდა ბორჩალოს მაზრიდან. მათ დავალებული ჰქონდათ გიაურქის სახელმწიფო მამულის საორგანიზაციო პლანის შედგენა. კომისიამ თვისი მოხსენება უკვე წარუდგინა სამინისტროს. კომისიის აზრით საჭიროა გაუმჯობესებულ იქმნას მამულში მოსამსახურე მუშათა მდგომარეობა და გაიხსნას მათთვის კოოპერატივი.

ტყის დაცვა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ზუგდიდის მაზრის მილიციის უფროსს მიწერილობა გაუგზავნა მიიღონ ენერგიული ზომები, რომ ზუგდიდის ადმინისტრაციამ სისრულეში მოიყვანოს მიმართვანი სვანეთის ტყის მცველისა სხვა და სხვა პირთაგან სატყეო წესდების დარღვევისათვის ჯარიმების გადახდევინების შესახებ.

სათიბ ადგილების დატაცება. მიწ. მოქ. სამინისტრომ აცნობა შინ: საქ. სამინისტროს, რომ დუშეთის მაზრაში, „ქადის თავის“ სათიბ ადგილებს იტაცებენ და დამტაცებელთა სია წარმოუდგენია. სამინისტრო თხოულობს ამ პირთა პასუხისგებაში მიცემას. შინ. საქ. სამინისტრომ მისწერა დუშეთის მაზრის კომისარს გამოიძიოს ეს საქმე და დამნაშავენი პასუხის გებაში მისცეს.

პარტიული ცხოვრება.

ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა კრება. დღეს, 1 გიორგობისთვეს საღამოს 7 საათზე, მეხუთე აუდიტორიაში დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატ სტუდენტთა საზოგადო კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო და საჩქარო საკითხები. დასასრულს მოხდება ახალი გამგეობის არჩევნები, ყველა პარტიული ამხანაგთა დასწრება სავალდებულოა.

სამხატვრო ქრონიკა

თეატრი და მუსიკა.

სახელმწიფო თეატრი. დღეს, 1-ლ გიორგობისთვეს, სარაჯიშვილისა და ინაშვილის მონაწილეობით—„აბესალომ და ეთერი“. ხვალ, კვირას, „ჟიდოვკა“ ორშაბათს,—„ტრავიატა“.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ბათუმი.

ამ ოთხი დღის წინათ ბ-ნ სამხედრო გუბერნატორის მიერ შეჩერებული „ნაშ კრაი“ უკვე გამოვიდა ფრანჩესკის რედაქტორობით. შეჩერებამდე ამ გაზეთს რედაქტორობდა ბ ნი დე-ვიტტი. ახალი რედაქტორი დენიკინის ამ გაზეთისა ბ-ნი ფრანჩესკი თბილისში რედაქტორობდა დენიკინურ გაზეთს და საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საზღვრებიდან გაძევებულ იქმნა.

ბათუმის პორტი დაკეტილია ყველა პირებისათვის, ვინც მოდის ქერჩიდან, იალტიდან და ოდესიდან, გარდა იმ პირებისა, ვისაც აქვთ მოწმობები კონსტანტინეპოლის ბრიტანეთის მისიისაგან, ან ამიერ-კავკასიის ინგლისელ ჯარების მთავარ სარდლისაგან.

ბათუმში თითქმის ყოველ დღე მოაქვს საზღვარ-გარეთიდან დიდძალი სხვა და სხვა საქონელი. ფასები მაინც დიდი, ხელმიუწვდენელი. უმეტესად საქონელს კერძო ვაჭრები იძენენ.

ეკონომიური ცხოვრება

სავაჭრო კავშირი ამერიკასთან.

ამერიკული მთ. საკონსულო იუწყება, რომ ნიუ-იორკის ფირმა „Eoreign Productus“ წინადადებას იძლევა, ტანისამოსისა, სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინსტრუმენტებზე გაუცვალონ კაკლის ხე, ყარყუმი და სელი კავკასიიდან.

— ამავე საკონსულოს ცნობით, სავტომობილო ფირმას დეტროიტში (ამერიკა) „Dodge Brothers“ ს ჰსურს, თავისი წარმომადგენელი იყოლიოს თბილისში საქართველოსთვის და საზოგადოდ ამიერ-კავკასიისათვის.

მოქალაქენო! ისარგებლეთ ბედნიერი შემთხვევით: დღესვე შეიძინეთ ლატარიის ოცდახუთმანეთიანი ბილეთი, რომ 2 გიორგობისთვეს შეძლება მოგეცეთ

შაბათს, ლატარიის გათამაშების წინა დღეს, 1 გიორგობისთვეს, მთელ ქალაქს მოედება ორასი სტუდენტი, ვისთანაც შეიძლება ბილეთების შეძენა.

!!! ასი ათას მანეთის მოგებისა !!!

I მოგება—100.000 II მოგება—50.000 და სხ.

სულ მოგებისათვის გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი

(219—6—3)

სასამართლოში

სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის პირველი სასამართლოს სხდომა შესდგება გიორგობის 5-ს, რა დღესაც გაირჩევა 6 საქმე. მათ შორის არის საქმე ვარლამ ცქიტიშვილისა, რომელსაც სოფ. ბელლევში (შორაპნის მაზრა) თავის ავადმყოფი მეუღლისათვის წინასწარ განზრახვით და მოკვლის მიზნით აბების მაგიერ თაგვის შაქარი მოუცია და მოუწამლავს, რის გამო მეუღლე გარდაცვლილა.

შვილის მკვლელი.

ა. წ. იანვრის 6-ს, ნაშუადღევის 4 საათზე, მიხეილის პროსპექტზე მილიციონერმა გიორგი ჩხიკვიშვილმა თოფით მოჰკლა თავისი გასათხოვარი ქალი მართა. მიზეზათ დაასახელა ქალის გარყვნილება, რითაც იგი მთელს ჩემს ნათესავებში და საზოგადოებაში მარცხვენდა და თავსა მჭრიდა; ბევრჯერ ვუშლიდი, მაგრამ ის მაინც გარყვნილ ადგილებში გარყვნილ ხალხთან ქეიფს არ იშლიდაო... ეს საქმე გაირჩევა საგანგებო სასამართლოში გიორგობისთვის 29 ს.

სახაზინო ქონების მითვისება.

საგანგებო სასამართლოში ნოემბრის 29 გაირჩევა საქმე პოდპოლკოვნიკ პავ. ნიკიტინისა, რომელსაც ბრალი ედება იმაში, რომ საქართ. რესპუბლ: სამხედრო-ტოპოგრაფიულ განყოფილებაში სამსახურის დროს მიითვისა აღნიშნულ განყოფილების ხელსაწყოები და მოხალისეთა ლაშქარში წაღებას უპირებდა. ეს ბოროტმოქმედება გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის იანვრის 31-ის კანონის 39 მუხლის 1 ნაწილით.

მექრთამეობა.

იქვე, ნოემბრის 15-ს გაირჩევა საქმე საბაჟოში მოსამსახურის ნიკ. რინაშვილისა, რომელმაც ჯაფარ იბრაგიმ ოღლისაგან ქრთამად აიღო 50 ცალი თათრული ლირა, რის გულისთვისაც დაუწერა მას 200 ცალი ლირის საზღვარ გარეთ გატანის უფლება მაშინ, როდესაც ოქროს ფულის გატანის უფლება არ იყო. პასუხის გებაში მიცემულია თვით ჯაფარ იბრაგიმ ოღლიც. ეს ბოროტ-მოქმედებანი გათვალისწინებულია: პირველისა—1919 წლ. იანვრის 31-ის კანონის მე-17 მუხლით, ხოლო მეორისა—ს. დ. მე-380 მუხლით.

ლეჩხუმის ბოლშევიკების საქმე.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი დეპეშით აცნობებს საქ. პალატის ბრალმდებელს, რომ ლეჩხუმის ბოლშევიკების საქმე ქუთ. საგანგებო სასამართლოს გადაეცაო.

პირველ ქართულ ლატარიის გათამაშების წესი.

ლატარიის გათამაშება მოხდება ამ წლის 2 გიორგობისთვეს სახელმწიფო თეატრში.

თანახმად მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდების მეოთხე მუხლისა, გათამაშებას დაესწრებიან: დამფუძნებელ კრების წევრნი, მთავრობისა, ქალაქის, ერობის, სახელმწიფო ბანკის და სხვა საკრედიტო დაწესებულებათა, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს, ადგილობრივ პრესის და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

გათამაშება მოხდება შემდეგი წესით: საგანგებოდ დამზადებულ მაგიდაზე დადგმულ იქნება სამი ურნა;

ერთში იქნება სერიის ნომრები ერთიდან ოთხასამდე.

მეორეში ბილეთის ნომერი ერთიდან ხუთასამდე.

მესამეში—მოგებათა რაოდენობა—ორი ათას სამას ოთხმოცდა ცამეტი ბილეთი. ჟურნალ „ნაკადული“ს რედაქციისაგან წარმოგზავნილ ბავშვთა მიერ ამოღებულ იქნება ერთდროულად ორ პირველ ურნიდან თითო ბილეთი. ამოღებულ სერიისა და ბილეთის ნომრებიანი ლატარიის ბილეთი იქნება მომგებიანი, ხოლო მოგების რაოდენობას გამოარკვევს მესამე ურნიდან ამოღებული ბილეთი.

პირველ ურნიდან ყველა ოთხასი ბილეთის ამოღებისა და მეორე ურნიდან დარჩენილ ას ბილეთის ამოკრების შემდეგ, პირველ და მეორე ურნებში კვლავ ჩაჰყრიან: ერთში ოთხას და მეორეში ხუთას ბილეთს და შემდეგ ბავშვები განაგრძობენ ბილეთების ამოღებას ზემოხსენებული წესით მანამდე, სანამ არ ამოიწურება მოგება მესამე ურნიდან, ი. ი., სანამ არ გამოარკვევენ 2393 მომგებიან ბილეთს.

გათამაშებას შეუძლიან დაესწროს, რასაკვირველია, ფართო საზოგადოებაც, ხოლო, უადგილობისა გამო, თეატრში მხოლოდ იმათ შეუშვებენ, ვინც იმ დღეს, 2 გიორგობისთვეს, თეატრის კასაში შეიძენს ლატარიის ბილეთს.

ლატარიის დღე

ხვალ ლატარიის დღეა...
შეიძინეთ ბილეთები!
ქართულ ლატარიისა
ქართულ უნივერსიტეტისა, თეატრისა და მსახიობთა
კავშირის სასარგებლოდ.

ხელი შეუწყვეთ საქართველოს ახალ ცხოვრების აღმშენებლობას.

ხელი შეუწყვეთ პირველ ქართულ ლატარიას, რომელიც პირველი საძირკველია თავისუფალ საქართველოს განმტკიცებისა
აღორძინებისა
და თავისთავადობისა.

ამნაირი დღეები ცოტა ჰქონია საქართველოს.

მშვიდობიანი დღეები საქართველოს კულტურის გამოსაჭედად იწნევა სარაცინთა მოხეულ ურდოების ჯანღებში.

ყოფილა საქართველოს შეკრება მარაბდისა და კრწანისის მინდვრებზე
შეკრება ჯავშნიან გმირებისა, ზურხსა და მუზარადში გამოჭრილი რაშების თქარა-თქურით, შეკრება დიდმოურავისა, ზურაბ ერისთავისა, პატარა კახისა და მრავალთა ცხრა ძმათა
— საქართველოს მტერთა გაზნევად.
საკუთარ სისხლის დასაღვრელად
და რა ცოტა გვქონია დღეები:
ქართულ სკოლისა,
ქართულ ლიტერატურისა,
ქართულ ხუროთმოძღვრებისა
დღეები
გიორგი მთაწმინდელისა
რუსთველისა
ბექა ოპიზარისა.

ზოგს კი გვწყუროდა გვეფიქრა გრძელ პერგამენტებზე,
ყვავილებად მოჭრილ არშიებზე და ყველაფერზე.

დღეს ჩვენ უნდა ვიყვნეთ ბედნიერები, რომ ეს ყველაფერი გვაქვს.

და როგორ არ უნდა შევიძინოთ ბილეთები ქართულ პირველ ლატარიისა, რომელიც ფუძეს უყრის:
ქართულ უნივერსიტეტს
ქართულ თეატრს
და
საქართველოს!..

სომხეთი

სომხეთის დელეგატები ამერიკაში.

გაზ. „აშხატავორს“ 20-ს ღვინობისთვის თარიღით ატყობინებენ, რომ სომხეთის დელეგატები: ქაჯაზნუნი, ბაჩრომაჯიანი, გენ. ბაგრატუნი, ენფიჯიანი და ფირალიანი ჩავიდნენ ამერიკაში. იგინი მიიღეს სასახლეში დარბაზობისას დაესწრნენ: ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი, გარეშე საქმეთა მინისტრი, სენატის წევრი ლოჯი და სხ. მიღება მეტად თავაზიანი იყო. ვამყარებთ დიდ იმედებს“.

(„აშხატ.“).

ამერიკა და სომხეთი.

გაზ. „რენესანსი“ სწერს: „გენ. ჰარბორდის მისიის ერთ-ერთ წევრმა განაცხადა: ჩვენ პრეზიდენტ ვილსონის განკარგულებით გაგზავნილი ვართ ოსმალეთისა და კავკასიის მდგომარეობის გამოსარკვევად. პრეზიდენტს ჰსურს დაწვრილებითი ცნობები ჰქონდეს ამ ქვეყნების შესახებ. ამერიკის სენატმა უნდა მიიღოს რაიმე დადგენილება თანახმად გენ. ჰარბორდის მოხსენებისა. მისია გაეცნო სომხეთის კანონმდებლობას, მართველობას, ლაშქარს, სახალხო განათლებას, ფინანსებს, მცხოვრებთა შემადგენლობას, ჰავას, მიმოსვლას და პოლიტიკურ საკითხებს. გენ. ჰარბორდს წარუდგინეს სხვათა შორის სია ამერიკაში მცხოვრებ 170 სომეხ კაპიტალისტებისა სომხეთში ჩამოსასახლებლად.

სომხური „ჩეკების“ გამოცემა.

სომხეთის სახელმწიფო კონტროლიორი გ. ჯაგეტიანი სომხურ ჩეკების საჭიროებას ასე ასაბუთებს:

მერყევ პოლიტიკურ ცხოვრების პირობებში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს არ უნდა გამოეცათ საკუთარი ფულის ნიშნები, და სომხეთის მთავრობაც ცდილობდა დარჩენილ იყო ამიერ-კავკასიის ბონები, რომელიც ეკონომიურ პირობების წარმატებას ხელს შეუწყობდა. მაგრამ სამწუხაროდ აზერბაიჯანის მთავრობის წინააღმდეგობის გამო ვერ მოხერხდა საერთო ბონების შენარჩუნება. აზერბაიჯანისა და საქართველოს საკუთარ ფულის ნიშნების გამოსვლის შემდეგ, ჩვენც შევუდექით საკუთარ ფულის ნიშნების გამოცემას საზღვარგარეთ ერთ ერთ პირველ ხარისხოვან ექსპედიციაში. მინამდი კი ჩვენ უკვე გამოვეცით ჩეკები 100 მილიონისა. ეს ჩეკები დაიბეჭდა ერევნის სახელმწიფო ბანკის საგანგებო განყოფილებასთან სესხში შეთანხმებით.

ამ რიგად ეს ჩეკები უზრუნველყოფილია ერთი მხრივ სახელმწიფო ბანკასაგან და მეორე მხრივ მთავრობისაგან, რომელიც ბანკს შესაფერისი პირობით შეეკრა. რესპუბლიკის შიგნით ამ ჩეკების საკმაო გასავალი აქვს.

სახელმწიფო სესხის ოპერაციები.

საკითხი, დიდი მასშტაბით სესხის ოპერაციების შესახებ, საგარეო სესხის სახით,—მხოლოდ მაშინ შეიძლება დავაყენოთ, როდესაც გამოირკვევა სომხეთის პოლიტიკური მდგომარეობა. ამ მხრივ ზოგი რამ კიდეც გაკეთდა: პარიზში ჩვენმა დელეგაციამ უკვე აიღო 10 მილიონი ფრანკი სესხად; უკანასკნელი ცნობების მიხედვით კი ამ მოკლე ხანში კიდევ აიღებენ 50 მილ. დოლარს.

აზერბაიჯანი

მთავრობის კრიზისის გარშემო.

ოფიციალური „აზერბაიჯანი“ იტყობინება: ნასიბ-ბეგ უსუბბეკოვმა მიჰმართა პარლამენტის თავმჯდომარეს თხოვნით შეადგინონ კაბინეტი ადრევე პოლიტიკურ პარტიათა შორის შემუშავებულ პლატფორმაზედ.

მუსავატ იტტიხატის და უპარტიოთა ჯგუფის შორის შეთანხმება მოხდება შესაძლოა, რომ კაბინეტში სოციალისტებიც შევიდენ. გაზეთები „ისკრა“ და „ზნამ. ტრუდა“ იტყობინებიან, რომ კაბინეტის შემადგენლობის საკითხი, უკვე სავსებით გამოირკვა. მინისტრთა თავმჯდომარის პორტფელი ნ. მ. უსუბეკოვის ხელში რჩება; მთავრობაში შედის ხან ხოილი. და კაბინეტი იქნება წმინდა ნაციონალური და სოციალისტები შიგ არ შევლენ.

გაზეთის დახურვა.

„რაბოჩაია პრავდა“ დაიხურა. სტამბა პოლიციამ დაიჭირა.

დაღესტანში

პეტროვსკის სადგურის იქით ქისტებმა გზა გაწმინდეს 500 საჟენის მანძილზე და ხიდი ააფეთქეს. სარკინისგზო მიმოსვლა როსტოვსა და პეტროვსკის შორის შეწყვეტილია. მოხალისეთა სარდლობამ დაღესტანში მიჰმართა გენ. პოკროვსკის, ასტრახანის ასპარეზის ჯართა მთავარ—სარდალს, რათა ჯარები მიაშველოს.

— სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ: გზა პეტროვსკსა და ჰასან იურტის შორის სრულიად დაზიანებულია ქისტებისგან. გროზნის სამრეწველოს ნაწილები ქისტებმა ხელთ იგდეს კუმიკთა და ქისტების რაზმებმა სასტიკად დაამარცხეს. მოხალისენი ალექსანდრიისკთან და ყიზლართან წინ წაიწიეს. („აზ.“)

ბოლშევიკების მუშაობა ინდოეთში

„ნევ როტტერდამშ კურანტ“ ჰ წერს: ბოლო ხანებში მეტად გაცხოველდა ურთიერთობა მოსკოვსა და ინდოეთს შორის. გამოჩენილი ინდუსები, სპარსნი და თურქები სასურველ სტუმრებად მოდიან მოსკოვს.

პროპაგანდისტების გზად ითვლება კოლჩაკის ასპარეზისა და ურალში გენ. დუტოვის ასპარეზის შუა მდებარე გზა. ყირგიზები, მთლად ბოლშევიკების მხარეზე არიან და დიდ დახმარებას უწევენ წითელ არმიას. ლენინს განუცხადებია ზემოხსენებულ გაზეთის კორესპონდენტისთვის, რომ მისთვის ამ ჟამად აზია დიდ მნიშვნელოვანია მას იძლევი ჯარები, იარაღი და ფული გაუგზავნია, რომ ამით დასავლეთის ასპარეზი შეუსუსტებია ინდოეთში პროპაგანდას ეწევა რუსი, ხოლო თურანში ბოლშევიკურ საქმეებს აწყობს ოსმალო აფიცერი. იქ დაარსებულია ანტიბრიტანული ორგანიზაცია, რომლისთვისაც საბჭოთა რუსეთი არავითარ დახმარებას არ იშურებს.

დონის ბლოკადა

დონის სამხედრო ძალების სასურსათო განყოფილების მთავარ-მმართველს გენ. იაროშევსკის წარუდგინეს თავისუფალი ვაჭრობის პირობების ტექსტი ხელმოსაწერად. იაროშევსკიმ ხელის მოწერაზე კატეგორიული უარი განაცხადა. გენერალი თავის აზრს იმით ასაბუთებდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის დროს ადგილობრივი მწარმოებლები საქონელს საზღვარ-გარედ გაიტანენ და არ გვექნება საშუალება ჯარი უზრუნველვყოთ სურსათით

დეპეშები

(საქართველოს დეპ. სააგენ.).

ღვინობისთვის 31.

ნიკოლაევის რადიო სადგურის ცნობა. სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარ სარდლის შტაბის ოფიციალური ცნობა.

ასტრახანის მიმართულება: ახალი ცნობები არ მოსულა. კამიშინის მიმართულება: არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ბალაშოვის მიმართულება: მედვედიცსა და ხოპერის შორის წითელმა ჯარმა სკურიშენსკაიასთან შემოგვიტია, ბრძოლა სწარმოებს. სადგ. ნოვომელლოვატსკაია აღმოსავლეთით ბუზულუკის მარჯვენა ნაპირზე ბრძოლაა. ნოვოხოპერიდან ცნობები არ მოსულა. ვორონეჟის მიმართულება: ბობროვის აღმოსავლეთით მტერმა დაიჭირა (გამოტოვებული და დამახინჯებულია) ბერეზოვკასთან დრო-გამოშვებითი სრიალია. დამატებითი ცნობებით, ბობროვის დაჭერის დროს ხელში ჩავიგდეთ 30 ტყვია-მფრქვეველი და მრავალი იარაღი. ვორონეჟის დასავლეთით და ჩრდილოეთით ბრძოლაა. ელეცის მიმართ. დოლგორუკოვ-ტრიპკის ხაზზე ბრძოლაა. ნოვოსილის მიმართ. ჩვენ საბჭოთა პოლკი დავამარცხეთ, წამოვიყვანეთ 1000 მეტი ტყვე. ორიოლის მიმართულებით მტერი სადგ. დიაჩის უტევს. ბრძოლა სწარმოებს. ბრიანსკის მიმართ. დმიტრიევსკის სამხრეთით ბრძოლა ხან ჩვენ და ხან მტრის სასარგებლოდ სწარმოებს. ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა ისევ დაიბრუნა დმიტრიევი... (დამახინჯებ.). ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ცხენოსანმა ს. სობაჩევი დაიჭირა და ხელში ჩაიგდო 70 ტყვე. გომელის და ჟიტომირის მიმართულება: არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ვინნიცის მიმართულება: მზვერავები მოქმედებენ. მოგილევის მიმართულება: მტერი ენერგიულად გვიტევს. ბრაცლოვის ხაზზე მკაცრი ბრძოლა წარმოებს. ოდესის რაიონი: სიწყნარეა.

ხერსონის გუბერნიაში ბოლშევიკების ბატონობის დროს მოკლულია 30 მღვდელი. იუწყებიან მოსკოვის ევაკუაციის შესახებ. ეს ცნობები მტკიცდება. გურიევიდან იუწყებიან, რომ ბოლშევიკები თურქესტანთან დამოკიდებულების აღდგენას სცდილობენ. დანგრეული გზები ხელს უშლის ამას. აქტიუბინსკის რაიონში არ არის მატარებლები. ყველა ხიდები დანგრეულია და დამწვარია, ჩვენი ჯარის მიერ უკან დახევის დროს. აქტიუბინსკის სამასწავლებლო სემინარიის უზარმაზარი შენობა დაანგრიეს ორთქმავლების გასათბობად. პეტროვსკიდან იუწყებიან, რომ ნავთის მრეწველების ყრილობაზე გამოირკვა ბაქოს სამრეწველოების კრიტიკული მდგომარეობა ნავთის გაუსაღებლობის გამო. ნავთის მრეწველები იძულებულნი არიან ხელოვნურად შეამცირონ ნავთის დამუშავება.

გაზ. „პრავდა“ ბოლშევიკების გამარჯვებაზე.

„პრავდა“, ფრონტზე ჩვენი გამარჯვების გამო სწერს: „ის რევოლუციური ენერგია და ის მისწრაფება გამარჯვებისკენ, რომელიც მშრომელ მასაში იზრდება ხელს უწყობს საქმის გაგრძელებას, სამხრეთის ფრონტის უკანასკნელი ცნობა ბევრ დამამშვიდებელ ამბებს იუწყება. ჩვენი შეტევა, გრძელდება, მტრის დემორალიზაცია იწყება ჩვენ მხარეზე გადმოსულთა რიცხვი იზრდება. სამხრეთ ფრონტის საშუალ ადგილებში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ დაიწყო. შეტევის ინიციატივა თან და თან ჩვენ ხელში გადმოდის. მაგრამ ეს მხოლოდ გამარჯვების დაწყებაა. საჭიროა, მომავალში ის იზრდებოდეს და გადაიქცეს გადამწყვეტ ბრძოლად სხვანაირად მტერი შესძლებს გამოსწორებას, შეაგროვებს მთელს ძალას და თავს დაგვესხმის ისევ. გამარჯვების დასაწყისი თავდებია მომავალ მიმდინარეობის. ეხლა, როდესაც გამარჯვება უფრო სჩანს, ვიდრე ოდესმე, უნდა მოვიკრიბოთ ძალა გამარჯვებისათვის.

ნაუენი. ოქტ. 39. პარიზის მემარცხენე სოციალისტების გაზეთი „პოპიულერ“-ი გადმოგვცემს იმ პირთა სიტყვებს, რომლებიც საზავო კონფერენციასთან ახლო სდგანან, რომ მისთვის არსებობს საშიშროება, რომ გენ. იუდენიჩი იძულებული იქნება ბალტიის მხარე დასტოვოს.

ნაუენი. ოქტ. 29. ამერიკის სენატორმა პოინდექსტერმა პრეზიდენტად თავისი კანდიდატურა წამოაყენა რესპუბლიკანური პარტიისაგან.

ლიონი. ოქტ. 29. ბერნიდან იუწყებიან, რომ შვეიცარიის ეროვნულ საბჭოს არჩევნების შემდეგ სოციალისტებმა ბევრი ადგილი მოიგეს, განსაკუთრებით რადიკალების საზიანოდ. საბჭოს წევრებში სოციალისტები 40 პროც. იქნებიან.

ლიონი. ოქტ. 29. კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ გერმანელები რიგაზე შეტევას განაგრძობენ. პროტესტანტების, კათოლიკების და მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებმა გამოუშვეს მოწოდება პროტესტით იმის გამო რომ გაუმაგრებელ ქალაქს ესვრიან, და ბავშვებს და ქალებს ხოცავენ.

სარატოვი. ოქტ. 29. ასტრახანის მაზრის თეთრგვარდიელებისაგან განთავისუფლებულ ადგილებში ყველა საბჭოთა დაწესებულებები განადგურებულია, სოფლები და ქალაქები, რომლებსაც წინააღმდეგობა გაუწევია თეთრებისათვის გადამწვარია, საქონელი წაყვანილია, პური წაღებულია. მცხოვრებლები ამ გამოცდილების შემდეგ, ყოველნაირად ეხმარებიან საბჭოთა მთავრობას.

სმოლენსკი. ოქტ. 29. პარტიულმა კვირამ იმედებს გადააჭარბა. კომუნისტურ პარტიაში 1500-ზე მეტი ჩაეწერა აქედან წითელ არმიელები და 30 პროც. ქალები და მუშა ქალები.

№-ის არმიის შტაბი. ოქტ. 28. კოლჩაკის ბრძანებით ქალაქებში შემოიღეს იძულებითი შრომა დაჭრილებისა და ავათმყოფებისთვის, და ნ. ბრძანება აქვთ მოკრიბონ მცხოვრებლებში თეთრეული. ვინც ამ მოვალეობას გაექცევა, როგორც ბოლშევიკებს, საბჭოთა რუსეთში გზავნიან

სამხედრო რადიო ცნობა. გალიჩის მიმართულებით წითელმა ნაწილებმა მტრის იერიშები მოიგერიეს, გალიჩ ნოს ჩრდილო აღმოსავლეთით 8 ვერსზე რამდენიმე სოფელი დაიჭირეს. ლუკის რაიონში წითელმა ჯარმა სამხრეთით 25 ვერსზე აღმოსავლეთით 20 ვერსზე რამდენიმე სოფელი დაიჭირა. გდოვის მიმართულებით ჩვენი ჯარი იბრძვის. კიევის და ჩერნიგოვის რაიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. ნოვგოროდ-სევერსკის რაიონში შესდენის ქარხნის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლაა. დმიტრევსკ-კრომი-ნოვოსილ რაიონებში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ხელში იგდო ქონება და მოჰყავს ტყვეები. კრომთან ბრძოლის დროს ჩვენ მარკოვის პოლკის 3 ბატარეია წამოვიყვანეთ ტყვეთ. ვორონეჟის რაიონში ჩვენმა ჯარმა დონზე გადასავალი ადგილი დაიჭირა და მტერს ავიწროებს დასავლეთით. ბობროვის რაიონში ქალაქთან მკაცრი ბრძოლაა. ბორისოგლებსკის მიმართულებით ბრძოლაა. ნიკოლაია-მედვედიცაზე ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ბრძოლით დაიჭირა კეპინსკაია და სკურიშენსკაია და ჩრდილოეთით და დასავლეთით 15—30 ვერსზე სოფლები დაიჭირა. ცარიცინის მიმართ. ილოვლის აღმოსავლეთით 17 ვერსზე ჩვენი ჯარი მტერს ავიწროებს. ურალსკის რაიონში მზვერავები მოქმედებენ. პეტროპავლოვსის რაიონში ჩვენ სად. მაქლიუტკის მერიდიანზე გამოვედით აულკტოროვის და ტობოლის რაიონში ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბერძენთა და სომეხთა პატრიარქები.

ბერძენთა და სომეხთა პატრიარქებმა ანატოლიის ბერძნებზე ოსმალთა მიერ მომხდარ ძალადობის გამო საჩივრით მიჰმართეს ანტანტის სახელმწიფოებს. ამის გამო პატრიარქნი ამ დღეებში გაემგზავრებიან პარიზს მოსახსენებლად. („თურქ.—დუნიან“)

სესხი ოსმალეთისთვის.

სტამბოლის გაზ. „აკშამ“ იუწყება, რომ ოსმალეთის მთავრობამ თხოვნით მიჰმართა ანტანტის სახელმწიფოებს, რათა მას სესხი მისცენ. („აშხატ.“)

მუშათა დამარცხება.

„ნიუ-იორკის“ მუშების გაფიცვა დასრულდა. გაფიცულთა ნახევარზე მეტი უკვე მუშაობას შეუდგა. („აშხატ“)

არჩევნები იტალიაში.

რომში წარმოადგინეს კანდიდატთა სია 54 საარჩევნო ოლქისა. ყოფილი 150 დეპუტატები ამ სიაში აღარ სჩანან.

კლემანსო.

კლემანსომ უარჰყო თავისი კანდიდატურის წამოყენება ქვემო რეინში, მოტივად ასახელებენ პოლიტიკურ მოღვაწეობიდან განდგომის სურვილს.

სენ ჟერმენის ხელშეკრულება.

ვენიდან იტყობინებიან: რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზეიცმა სენ-ჟერმენის ხელშეკრულება დაადასტურა.

გერმანეთის ვალი.

ბერლინიდან იუწყებიან: გერმანიის შეერთებული ვალი 31 ქრისტეშობისთვის მიაღწევს 90 მილიარდს. მიმდინარე ვალი — 82 მილიარდია.

არჩევნები საფრანგეთში.

დეპუტატთა პალატაში 324 ხმით, წინააღმდეგ 132 ხმისა, გადაწყდა 16 ნოემბერს მოხდეს საკანონმდებლო არჩევნები. ასეთი იყო მთავრობის სურვილიც. ახალი პალატა შეიკრიბება 8 ქრისტეშობისთვეს.

ბრანდესი ვილსონზე

ცნობილი დანიელი მწერალი გეორგ ბრანდესი თავის „ყოველთვიურ მიმოხილვაში“ ეხება ვილსონსა და მის საზავო 14 მუხლს.

ნიჭიერებით, ვუდრო ვილსონი ტაფტს, მის წინამორბედს არ ჩამორჩება, ხოლო ხასიათის სიმტკიცით მაკკინლის ჩამოუვარდება. ამასთანავე, ვილსონს თავის კონკურენტსა და აგრეთვე წინაპარის რუზველტზე ნაკლებ უყვარს საზოგადოების მიერ ყურადღების მიქცევა, და ამ რიგად მიაღწია მან თავის მდგომარეობას. ამ ჟამად როგორც ცნობილია, ვილსონი არის ინიციატორი იმ 14 ძირითად დებულებათა, რომელიც სულ პირველად ჩნდება მსოფლიოს მატიანეს ფურცლებზე, და რომელიც დღემდე ვერ იქცა სისხლად და ხორცად. ამბობენ, რომ სხივოსანი ათინა პალლადა ზევსის თავიდან გამოვიდა, ვუდრო ვილსონმაც ამნაირად შექმნა ქვეყანაზე „რაღაც“ უსისხლო ხალხთა ძმობის სფეროში.

ეს „რაღაც“ დამაბნელებელი პოლიტიკურ ჰორიზონტისა, მან ჩააწვინა აკვანში, არწია და მონათლა საზავო კონგრესსად. მაგრამ ავარდა გრიგალი და ქვიშით აუვსო თვალი კაცობრიობას, რითაც ძნელი გახდა გარჩევა იმისა, რაც ხდება ამ ქვეყნიერობაზე. ამ გრიგალის დროს „რაღაც“ ვილსონის აკვანში სხვა რამით შეიცვალა და იმ სხვა „რაღამაც“ შეიარაღებულმა ერთი მხრივ შიმშილით, ხოლო მეორეთი—ძალადობით, უკვე თავის აკვანში დაუწყო დაღრჩობა პატარა ნეიტრალ სახელმწიფოებს, სწორედ ისევე, როგორც ოდესმე ჰერკულესი აღრჩობდა ჰიდრას. ამის წყალობით პატარა სახელმწიფოების მცხოვრებნი სულით დაეცნენ და ძალაუნებურად თავი იგრძნეს პირველ ადამიანის გამოქვაბულში.

რა არის დემოკრატიზმი?

გამიგონია, რომ დემოკრატიული მართვა-გამგეობა არის მართვა-გამგეობა ხალხოსნური, ხალხთან დაახლოებული, გამარტივებული, ხალხის ნებაზე და სურვილზე დამყარებული.

სოციალიზმის რა მოგახსენოთ და დემოკრატიზმი კი მრწამდა; ხელ-შესახები, თვალით, ყურით ან გონებით მისაწვდომი საგანი რამ მეგონა.

მაგრამ რასაც ვხედავ და ვესმის დღეს იმნაირი დემოკრატიზმი თქვენს მტერს.

რუსეთმა ხომ თავისი დემოკრატიზმით სახელი გაითქვა.

კარგი მათ მოუვათ!

ჩვენ კი მხოლოდ-ღა სახელი შეგვრჩა.

იქნებ მე ვერ ვარჩევდე ბიუროკრატიზმსა და დემოკრატიზმს ერთმანეთისაგან.

ხალხის დაუკითხავად სოფლები გააქალაქეს; ხალხის სურვილია მათი გამოქალაქება; მთავრობა ნებას არ აძლევს.

ეს ხომ არ არის დემოკრატიზმი?

ამის შესახებ ხონელებმა კოლექტიურ თხოვნაზე ხელი მოაწერეს და მთავრობასთან გასაგზავნი დეპუტაციაც აირჩიეს, მაგრამ დეპუტაცია დაიჭირეს და დღესაც განუკითხავად ციხეში ზის.

ნუ თუ ეს არის დემოკრატიზმი?

ამავე საგანზე ზესტაფონლებმა პეტიცია და დეპუტაცია გააგზავნეს მთავრობასთან. მადლობა ღმერთს, დეპუტაცია უვნებლად დაბრუნდა; პეტიცია კი ქალაქის თავს გამოუგზავნეს „განკარგულებისათვის“.

აღარც ეს არის დემოკრატიზმი?

ქალაქის თავებმა კოჰა-ძაფებით საპონ-„შპილკებით“ და სხვა და სხვა წვრილმანებით რომ ივაჭრონ და სპეკულიაცია გასწიონ,

ხომ იქნება დემოკრატიზმი?

სამოქალაქო საქმეზე ძალაში შესულ სასამართლოს განჩინების სისრულეში მოყვანას აჩერებს შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარია.

ესეც არაა დემოკრატიზმი?

ექიმი სამსახურის გამო დაშორებულია ცოლშვილს. მისი ცოლი ძუძუ მწოვარი ბავშვით და მოხუცებული დედ-მამით სცხოვრობს ორ ოთახში ნაქირავებ ბინაზე. ეს ხალხი ბინიდან გამოაგდეს, ბარგი ქუჩაში გამოუყარეს.

ეს ხომ არ არის დემოკრატიზმი!

ერთ ერთ უბანში ყოფილა კომისარი, მეტად პატიოსანი, საქმის მცოდნე, მთავრობის განკარგულებათა აღმასრულებელი და ქურდობა-ავაზაკობის მომსპობი, როგორც დაახასიათა ერობის გამგეობის თავმჯდომარემ, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, არ ყოფილა სოციალისტი. გარდა ამისა ადგილი დასჭირდათ „ამხანაგისთვის“. დასწამეს მექრთამეობა, მაგრამ, იგივე თავმჯდომარის სიტყვით, არ დაუმტკიცდა. მაინც დაითხოვეს სამსახურიდან. რისთვისო? შეეკითხნენ თავმჯდომარეს. „მოვიხმარეთ და გავაგდეთო“, უპასუხა მან, მაგრამ მან ქართულად მაინც ვერ სთქვა ის, რაც სურდა და იძულებული იყო მიემართნა რუსული სპეციფიური მნიშვნელობის ფრაზისთვის „Использовали и выбросили“, სთქვა მან რიხიანად.

ნუ თუ აღარც ეს არის დემოკრატიზმი?

მეორე კომისარი თავმჯდომარეს სადგურზე არ შეხვედრია. სამსახურიდან დაითხოვეს.

ეს მაინც უნდა იყოს დემოკრატიზმი.

კონფისკაცია, რეკვიზიცია, მონოპოლია. ეს სიტყვები ხომ ევროპიდანაა გადმოღებული. ჩვენ მაგის მსგავსი არაფერი გვქონია.

მაშ, ეს იქნება დემოკრატიზმი.

გაჰრეხის უდანაშაულოთ დაჯარიმება

ალბათ ესაა დემოკრატიზმი.

რას მიქვია ისტორია! სად ჰქონდა საქართველოს წარსული? ისტორია, სადაც დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის, თამარის და პატარა კახის გმირობა—ღოლვაწეობაზეა ლაპარაკი, რათქმა უნდა, წასაშლელია. ამხანაგმა კონიევმა უკვე დაიწყო ახალი ხანა ირაკლი მეორის სახელის წაშლით და ღმერთი არ დააცლის, თორემ ქართულ ისტორიას სულ გაანადგურებს.

აი, ამას ქვია დემოკრატიზმი. მაშა!?

მექრთამეობა, ძარცვა-გლეჯა, ძალადობა, პიროვნების აბუჩად აგდება, ცემა გინდ კაცის კვლა, როგორც იტყვიან ხოლმე უცაბედათ, უნამუსობა, უზრდელობა, ალვირ წახსნილი ვაკხანალია, საარჩევნო ყუთებში მეტი ბიულეტენების ჩაყრა, ვიდრე ხმის მიმცემი მოქალაქეა და სხვა.

სულ ყველაფერი ეს არაა დემოკრატიზმის გამომხატველი?

არა?.

მაშ, რა ჯანდაბას ჰქვიან დემოკრატიზმი?

აბა, არც ჩვენს სოციალისტებს სცოდნიათ იგი.

ეჰ, რამდენიც არ უნდა ვეძიო, მაინც ვერ ვნახავ, როგორც ეტყობა.

ისევ სჯობია აკაკისებურათ გავათავო.

„დემოკრატიზმსა ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო, გულამოსკვნილი ვჩიოდი, სადახარ, ჩემო სულიკო!..“

მან-განი

სოფიიდან თბილისამდე

მთავარ ქუჩაში იმდენი ხალხია, რომ შეიძლება მათი დათვლა. ოსმალები ფესკებით და ეროვნულ ტანსაცმელით, მათი ცოლები და მომხიბლავი ქალიშვილები, ჩადრ წამოსხმულნი დაღივლივებენ სწორე, დაფენილ ქუჩებში. აი ბაღიც!... დუქნებში საჭმელი სანოვაგე ისევე ნაკლებია, როგორც სოფიაში, მხოლოდ ყველაფრის იაფობა, რისაც კი შოვნაა.

დავადექით ქუჩებს ბინის მოსაძებნად, რომელიც მალე ვიპოვნეთ. ორსართულიანი სახლი—სასტუმრო ჩვენს ლოდინში დაცარიელებულიყო. ვიკითხეთ ფასი. დღეში 5 ფრანკად! ღმერთო რა ძვირია. მაგრამ რას გავაწყობთ, დავიქირავეთ. გადმოვზიდეთ ბარგი და წავედით საკომენდანტოში პურის მისაღებად. ისე კერძოდ პურის ყიდვა არსად შეიძლებოდა, რადგან არ იყო. ყველა განსაზღვრულად იღებდა ბარათებით.

პური ვიშოვეთ. ეხლა კი შეგვიძლია წავიდეთ სასადილოდ. შევედით სასადილოში, რომლის პატრონი ოსმალელი სომეხი აღმოჩნდა. სანამ სადილს გავათავებდით ჩვენ უკვე ვიცოდით ვინ იყო ეს სომეხი, საიდან და რად მოსულიყო აქა. ყველაფერი გამოვკითხეთ.

— რატომ არ დაბრუნდებით სომხეთში?—ვკითხეთ—განა არ გიყვართ თქვენი სამშობლო?

სომეხმა ჩაიცინა და ირონიით გვიპასუხა.

— იქ რა მინდა! მე აქაც ვიგებ ფულს... იქ კი ოსმალოები დაგვხოცავენ. სამშობლო სამშობლოა, მაგრამ კაცს მაინც ჭამა-სმა უნდა, ცხოვრება, ფული...

— ეხლა სომხეთი თავისუფალია!—ჩამოვაცივდით ჩვენ.

— სულ ერთია... მე აქ ნირჩევნია...

მოდი და ელაპარაკე!.. ფული და ჭამა სმა ყველაფერს ურჩევნია! ეჰ, რას იზამ, ყველა ერი ხომ ერთნაირი არ არის!!.

სადილის შემდეგ წავედით იმ ქალისას, რომელიც გზაში გავიცანით. საიდან დავიწყო არც კი ვიცი...

გამოვიდა ქალიშვილის დედა, თვით ქალიშვილი და მისი პატარა და. დავიწყეთ სჯა-ბაასი. აღმოჩნდა, რომ ქალიშვილის დედა თბილისელი ქალი ყოფილა. სიყმაწვილე თბილისში გაუტარებია. ეხლა კი ბულგარეთში გათხოვილი.

საღამოთი წავედით „Военный клубъ“ (სამხედრო კლუბი)-ში, სადაც შიგვასწავლეს სავახშმოდ. ბულგარელ ოფიცრებს უკვე გაეთავებინათ ვახშამი და წასულიყვნენ. მხოლოდ ერთ კუთხეში ვიღაც გენერალი ერთ აფიცერს ნარდს ეთამაშებოდა. რამდენიმე ცნობის მოყვარე აფიცერი გარს შემოჰხვევოდნენ და თვალ ყურს ადევნებდნენ—მათ თამაშს. ჩვენ რომ შევედით ერთმა იმათგანმა წაიჩურჩულა:

— Руснаци!.. (რუსები) და ყველა ჩვენ მოგვაშტერდა. გენერალი რომ დავინახეთ, გავსწიეთ მისკენ ნებართვის ასაღებად, თუმაცა მათ წესად არა აქვთ უფროსისგან ნებართვის აღება. ჩვენ რომ მიუახლოვდით, გენერალმა თავი დაანება თამაშს და ადგა ჩვენს მოსაგებლებლად. ნებართვა ვთხოვეთ. დაგვრთო. მაგრამ ამით საქმე არ გათავებულა. გვკითხა თუ, საიდან და საით მივდივართ, სად მოვხვდით ტყვედ, რა ჩინში ვართ და გვარებიც კი გვკითხა სათითაოდ. ეს ცნობის მოყვარეობა რომ დაუკმაყოფილეთ და გავაგებინეთ რომ ჩვენ „Руснаци“-ები არა ვართ, თუმცა რუსის არმიაში ვმსახურებდით და ეხლა როგორც ქართველნი ვბრუნდებით ჩვენს ქვეყანაში,—გენერალი გადავიდა პოლიტიკაზე და დაგვიწყო საუბარი თუ 1913 წელში რუმინელებმა უომრად როგორ აიღეს სოფია და სერბეთის მეფე პეტრე რა პოლიტიკას აწარმოებდა ბულგარეთის წინააღმდეგ, როგორც იყო დავახწიეთ თავი გენერალს.

7.

გათენდა დილა.. ფანჯარაში ვხედავ როგორ იწყობა მკვდარი მოძრაობა ქუჩაში:

ჩემმა ამხანაგებმაც გაიღვიძეს... დაუძახეთ ჩვენ პირდაპირ მყოფ „Кафеджий“-ის (მეყავე) და 3 ჯამი ჩაი მოვატანინეთ, (აქ ჯამებითაც სმენ ჩაის!) რომელშიაც სამი ლევა გამოგვართვა. ამის შემდეგ წავედით ნავთსაყუდელში საბოლოოდ გაგვეგო, შეიძლება თუ არა, რუმინეთით დაბრუნება, რადგან ქალაქის კომენდანტთან ვიყავით რამდენჯერმე, მაგრამ ვერას გავხდით: ყოველგვარი მიმოსვლა შეწყვეტილია რუმინეთთან და ფოსტასაც კი არ ვგზავნითო.

აქედან მშვენიერი სანახაობა გამოჩნდა: წყნარი დუნაი ხანტად მიიზლაზნება და მის მშვიდ ზედაპირს არ ამღვრევს არც ერთი გემი. მეორე მხარეს მწვანეში რუმინეთის ქ. გეორგიევი მოსჩანს ნაპირზე იქაც სად გურია გაშენებული და საქონლის ვაგონები ბლომადაა თითქმის ხალხის მოძრაობასაც კი ვამჩნევთ. რუმინეთის და ბულგარეთის ომის დროს არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ერთმანეთისათვის ზარბაზნები ესროლათ. შეთანხმება ჰქონიათ ამის შესახებ და ეს ქალაქები ნეიტრალურად გამოცხადებული.

ქ. რუშჩუკი ძველად რუმინელებისა ყოფილა. ამას ჰმოწმობს გარეგანი და შინაგანი სახე ქალაქისა. დიდი, მრავალსართულიანი ლამაზი სახლები, სწორე, სუფთად დაფენილი ქუჩები და აყარებელი რუმინელი მოსახლეობა. ბულგარეთის პროვინციალური ქალაქები სრულებით არ ჰგავს ამ ქალაქს და თვით სოფიაც კი ჩამოუვარდება მას ყველაფრით.

სადგურზე ვიღაც გერმანელი ოფიცრები იყვნენ, რომელთაც მივმართეთ თხოვნით და დოკუმენტებიც უჩვენეთ. ისინი ჯერ კიდევ, რუშჩუკის ნავთსაყუდელის უფროსებად ითვლებოდნენ, მაგრამ მათაც სანუგეშო ვერა გვითხრეს-რა,

— ყოვლად შეუძლებელია ეხლა რუმინეთით დაბრუნება, რადგან...—და აღარ გაგვიმჟღავნეს საიდუმლო, რომელიც ჩვენ უკვე ვიცოდით. ამ ჟამად რუმინეთში მაკენზენი იმყოფებოდა ჯარით საიდუმლოდ. სურდა გადმოელახა ბულგარეთის საზღვარი და ახალი ასპარეზი შეექმნა, მოკავშირეთა წინააღმდეგ, რომელნიც ამ დროს ე. ი. ბულგარეთის კატასტროფის დროს შემოჰრილიყვნენ და იჭერდნენ მთელ ბულგარეთის ტერიტორიას..

არჩილ მაჭავარიანი

(შემდეგი იქნება)

სოჭის ასპარეზიდან

წერილი ბ.

ქ. ფოთში კარგა ხანია ვიცდით და ჩვენი რიგი გემზედ დატვირთვისა ჯერ არ მოსულა; ჩვენზედ ადრე აქ ჩამოსულა ორი ბატარია და ისინი ადრე წავლენ სოხუმისკენ. ეს გარემოება ჩვენ გვაგვიანებს; ამას ისიც დაერთო, რომ ტაროსი შეიცვალა, გაავდარდა, შავი ზღვა შავად ხმაურობს.

ვინც ფოთს ერთხელ მაინც ნახავს ის მიხვდება, თუ რა შესძლებია კაცის ხელს და გონებას, ნათლად ეტყობა რომ, აქ არაფრით ბუნება ხელს არამც თუ არ უწყობდა და უწყობს ადამიანს ბინის დადგმას და ქალაქის გაშენებას, პირიქით ხელსაც უცარავდა; აქ კაცს ყოველი ადლი, ყოველი მტკაველი მიწისა დიდის შრომით, ჯაფით და მოხერხებით წაურთმევია ზღვისა და ჭაობისთვის, და რამდენადაც კი შესაძლებელი ყოფილა საცხოვრებლად გადაუქცევია.

ფოთის ჰავამ მალე დაატყო თავისი ნიშანი ჯარის-კაცებს და მეორე დღესვე ჩვენი ფოთში ჩასვლისა, რამდენიმე მათგანი კანკალებდა და წამალს ეძებდა.

ფოთში ჩასვლისას ჩაუსწრებით გემს „ქრისტიან ნებე“-ს, რომელმაც ჰამბურგიდან ჩამოიყვანა ქართველი ათასზე მეტი ტყვე; ჩვენ იქ ყოფნისას მოვიდა ანგლისელების დიდი გემი; დაიტვირთა ქვანახშირით და მარგანეცით და უკანვე გაემგზავრა.

ერთ კვირაზე მეტია, რაც ფოთში ვართ და ძლივს მოვიდა ჩვენი რიგი დატვირთვისა. დაბარგებას ვიწყობთ მზის ჩასვლისას და ამასთან იწყობა ხმაურობა, რაც დიდხანს არ თავდება, ღამის ცხრა საათია, ჩვენი „ბარჟა“ ჩაუბეს გემს „საქართველო“ს და კიდეც დავიძარით.

ჯარის კაცნი ჩვენი ბატარიისა, ყველა თითქმის ქართლელია, ზღვის და მის სანახაობას მიუჩვეველი; ბევრი პირველად ხედავს ერთ ადგილას დაგუბებული ამოდენა წყალს; მათი ცხოვრება სულ ხმელეთზე მიმდინარეობს, წყალზედ ბორნით თუ დასქერდებათ გადასვლა, ნავებსაც ერიდებიან ხშირად. ალბად ეს გარემოება არის მიზეზი, რო გემზედ არ ისმის ხმაურობა, ლხინი და სიმღერა, როგორც იყო მატარებლით მოგზაურობის დროს; თან ზურნა გვაქვს, მაგრამ მეზურნეები ვერ უკრავენ ამ ჟამად, ავ გუნებაზე არიან, მომღერალთა ჯგუფიც, გემის ბოლოზე მოკალათებული, ვერ ახერხებს სიმღერის მოწყობას, დაიწყებენ, აღიღინდებიან და ბოლოს კი ველარ მიაღევნებენ; ეტყობა, ეს შეუპოვარნი ხმელეთზედ, გაბედულნი და მხიარულნი, ზღვამ და მის სიდიადემ დაიმონა; დაანახვა კაცის უძლურობა დიად სტიქიონთან. „საქართველო“ კი ქშენით მიარღვევს წყალს და თან და თან შორდება ნაპირს, ფოთის ნავთ-სადგურს. ჩვენ უკვე გაშლილ ზღვაში ვართ, ყველა ხმელეთისკენ იყურება, იმედით გაჰყურებს ელექტრონის შუქს; მისჩერებიან ნაპირს და რამდენადაც ფოთის კანდელი გამოიბრწყინებს, იმდენად ჯარისკაცთა სახეზე სიამე იხატება.

ი. ჯავახი.

კორესპონდენცია

წერილი ზემო ქართლიდან

ს. კეხვი. დიდი ლიახვის ხეობაში ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, სადაც თავდება უზარმაზარი მთა კლდის ვიწროები და ლიახვი ღრიალით გამორბის, გაშენებულია სოფელი კეხვი, რომელიც მუდამ დარაჯობდა თვის გორგა**) მეფისგან აშენებულ ციხებით, ამ ხეობას. ახლაც ჩვენს დროში ს. კეხვია სტრატეგიული პუნკტი ყოველივე მთავრობისა თუ ხალხის საწინააღმდეგო გამოსვლებისა, უდაბური ტყე რკალივით არტყია კეხვს და ამ ტყით გადაღ-გადმოდის გზა ბილიკები ზემო ქართლისკენ, რაჭა—საჩხერესაკენ და ოსებით დასახლებულ ღვალეთ—მაღლა დოვლათისკენ. აი ამ ტყიდან იწყობა ყოველივე ხალხის შესაწუხარი ოინები.

10—20 ღვინობისთვიდან ხმა გამოვიდა ლიახვის ხეობიდან რომ მალე ბოლშევიკების გამოსვლა იქნება და ვაი იმათი ბრალი ვინც არ გაჰყვება მათაო.

აქ მცხოვრებ გასაწყლებულ თავადებთან შემოხიზნულ ლტოლვილ ჯავახის ბიჭსაც კი დაემუქრნენ, თუ არ წახვალ მაინცა, როცა მაგათ ამოსწყვეტენ შენც მოგკლენო. 20 ღვინობისთვეს უკვე კეხველ კაცს, რომელიც ტყეში მუშაობდა, ვიღაც უცნობმა, ტყიდან გამოსულმა დააბარა სოფელ კეხველებთან რომ ამაღამ ოთხას ორმოცდა ათი კაცისთვის ვახშამი ამოგვიტანეთო, და კიდევ თითო მედუქნეს ოთხასი თუმანი ფული გამოატანინეთო თორე სულ აგიკლებთო.

ამ ამბავმა ს. კეხვს შიშის ზარი დასცა. იარაღი ვისაც ჰქონდა, აისხა და სოფელს ყარაულობა დაუწყო. მცირე ხარჯიც წაუღეს ზოგიერთებმა, მაგრამ იარაღიანმა კეხველებმა, იმ ალაგს ტყეში, სადაც უნდა ხარჯი მიეტანათ, თოფები დაახალეს და მერე იქ ველარავინ ნახეს. ეტყობა დაიმალნენ. აქაურმა რაიონის და სოფლის კომისრებმა ჯადასწყვიტეს თავიანთ ძალღონით მოეშორებინათ ეს ხარჯის მომთხოვნელი ხალხი. მოეჩხრიკნენ და დევნა დაუწყეს. იარაღიანი ხალხი დარაზმეს. ყუმბარებიც კი ჰქონდათ. 22 ღვინობისთვეს, ერთ კეხველ ტყის ყარაულს ხიფათი მიუვიდა: ყუმბარებში მას უნდა ჰქონოდა, იგი აჩაბეთის სამმართველოს შენობაში ყუმბარას ასწორებდა. ამ დროს ხელში ფისტონი გაუსკდა, შეშინებულს ყუმბარა გადაეგდო მაგიდაზე და თითონ იქვე კარებში გამოქცეულიყო, მაგრამ ნაფეთქ ყუმბარას ზურგში დაეჭრა და კედლებიც დაენგრია. 23-სთვის უკვე შიში ვრცელდებოდა, მაგრამ ეტყობა აქაური ხალხის მზადებამ მათ დასახვედრად და კომისრების ენერგიულმა მოქმედებამ ჩაშალა მათი განზრახვა. დღეს მშვიდობიანობაა. ბოლშევიკების აგენტები თავად-აზნაურებსაც ეფერებოდნენ, ეგენიც ჩვენთვის გამოსადეგნი იქნებიანო, რადგანაც დაჩაგრულები არიანო. ეგენი უნდა შევინახოთო.

სოფელი კეხვი უწინაც თავისუფალი სოფელი იყო. ბატონი არა ჰყავდათ. მეტად ხნე ხალხია. სახნავი მამული მცირე აქვთ და ხვნა თესვა დღის სავალზე აქვთ, ს. ს. ხვითებში, ფხვენისში, ნიქოზებში და სხვაგან. სადაც ნაყიდი მამულიც აქვთ და სხვისაში საღალოდ ჰხნავდნენ. ხალხი ღარიბია, უწიგნო, მაგრამ დიდი სურვილი აქვთ სწავლის. ს. ქურთაში რომ სკოლა და საფეიქრო სახელოსნო იყო, მარტო სამი მეოთხედი მოსწავლეების კეხველები იყვნენ, რომლებიც ტალახიან შემოდგომა გაზაფხულზე და ცივ ზამთარში დიდის ხალისით დაიარებოდნენ. ახლა აღარც ქურთაში არის სკოლა და სახელოსნო და აღარც სხვაგან, თუმცა ქურთაში ყველა სასწავლო ნივთები ისევ არიან. ს. ქურთა კულტურული ცენტრი იყო ცხენვალ ზევით ხეობისა, იქ არსებობდა სკოლა, საფეიქრო სახელოსნო, საკრედიტო ამხანაგობა, წიგნთ-საცავი სამკითხველო, და კოოპერატივი, ახლა კი აღარაფერიარის იქ და ჩამქრალია ეს ცხინვალის ერობამაც კარგად იცის და გორის სამაზრო ერობამაც და კი არაფერს პატრონობს. საკრედიტო ამხანაგობაში ხალხს მიბარებული ფულები აქვთ და უიმედოდ არიან, ვაი თუ დაგვეკარგოსო, და ნუგეშას მიმცემი არავინ არის. საკრედიტო ამხანაგობის გამგეობაზე მუქარით მიდიან, მაგრამ გამგეობას ვერ მოუხერხებია ამ საქმის ამუშავება. არც სარევიზიო კომისია იღებს თავზე და არც ერობა უგდებს ყურსა. ადვილად შეიძლება დიდი უსიამოვნება მოხდეს გამგეობასა და წევრებ შორის. ვინ არის პატრონი საკრედიტო ამხანაგობებისა, სახაზინო ბანკის კრება თუ გამგეობა არავინ იცის.

ვინ არის პატრონი საფეიქრო სახელოსნოსი არავინ იცის.

ვინ არის პატრონი კოოპერატივისა არავინ იცის. ვინ არის პატრონი სამკითხველოსი და შკოლისა, არავინ იცის!!! ყველაფერი კი ჩინებულად წარმოობდა, ს. კეხვი განთქმულია ხილით. წელს ძალიან მდარე და ნაკლები მოსავალი იყო, ფასები კარგი. აქაურები თვით შენახულ სახაზინო ტყეში შეშას ამზადებენ და მას ჰყიდიან. ფასი შეშის საჟენისა სოფელშივე 1200 მანეთია. მიუხედავათ ამ ფასებისა, სოფელი უფულოა, ტიტველა და შიშველი. წრევანდელმა ისპანკამ და პარტახტიანმა სახადმა ბევრი იმსხვერპლა და მათზე გაწეულმა ხარჯებმა დიდი შეძლების ხალხიც გაალარიბა. საკლავი, ღვინო, ბრინჯი, სამთელი, შავები მეტათ ძვირი ჯდებოდა, თითო კვდრის დამარხვა სულ ულარიბეს კაცს 5.000 მანეთი უჯდებოდა. ახლა წლის წარევები და ხალხი დიდათ გალატაკებული დარჩა. პირნახულის მოსავალი სამყოფი არ მოუვიდათ.

ზემო ხსენებულ კეხვის ტყეს მრავალი ბარში მცხოვრები სოფელი შესცია და ისე უსისტემოთ კაფვენ იმ მშვენიერ ოცი წლის განმავლობაში აღზრდილ მუხის ტყესა და სხვა ჯიშის ხეებსა. რომ შიგ უკვე პურსა თესვენ, ახოებში სხვალ ხეს კი ადგილობრივი მცხოვრებნი ანადგურებენ. ტყის გად სახადი ფასები მეტად დიდია. საჟენის მეოთხედი 75 მან. ურმობით უნდა გაიტანონ ერთი კვირის განმავლობაში და მეტათ ხარჯობენ. ან ვინ არის დამშლელი რომ მეტიც წაიღონ. ცხინვალში ჰყიდიან შეშას ურემს, (20 ღერი უდევს) 150—200 მანეთათ, უნებართვოთ მოტანილ და გაყიდულ შეშაზე ურემზე 70 მანეთს ახდევინებენ.

სად მიდის ეს ფული, ხალხმა არ იცის, თუმცა ძალიან სურს გაიგოს. ტყის საშინელმა გაჩეხამ თავისი ჰქნა და ნიაღვრებმა დიდი ზარალი მიაყენა ს. კეხვს.

ა. ლ.

**) ვახტანგ გორგასლანი.

საჭიროა
პიანინოზედ დამკვრელი
პირობები იკითხეთ ავლაბარში, კახეთის მოედანზე, პროჟექტორი „უნიკა“-ში საღამოს 5—9 საათამდე.
2640 2—1

მიმოსვლა

სახალხო მატარებლებისა
ს. ს. რკ. გზ.

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12 ს. 5 წ.
ქუთაისში	№ 10 9	სალ.	8 ს. 7 წ.
ბათომში	№ 5	სალ.	5 ს. 4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9 ს. 56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11 ს. 30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7 ს. —
ფოთიდან	№ 4	სალ.	8 ს. 45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12 ს. 10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9 ს. 30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6 ს. 06 წ.

თბილისი-სადახლო

გადის სადახლოში

№ 8	საღამოს	6 ს. 5 წ.
№ 6	შუადღის	2 ს. 32 წ.
№ 4	საღამოს	9 ს. 50 წ.

მოდის სადახლოდან.

№ 3	დილის	7 ს. 27 წ.
№ 5	ნაშუად.	3 ს. 5 წ.
№ 7	დილის	11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გადის

№ 63	შუადღის	2 ს. 40 წ.
№ 61	დილის	7 ს. 52 წ.
№ 19,20	შუად.	3 ს. 26 წ.

მოდის:

№ 19,20	დილ.	6 ს. 30 წ.
№ 62	დილ.	11 ს. 24 წ.
№ 64	სალ.	8 ს. 4 წ.

თბილისი-სანაინა

გადის:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მოდის:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
ასლანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3., ტელეფონის № 17—21.

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. ს-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. სუშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X. ს სხივებით დიდი სოლენოიდი და [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—1 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7-92.

სამკურნალო კაბინეტთა ექიმი
ალექსანდრე დავითის ძის
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.